საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი

№9748
06.06.2018

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის წევრების აკაკი ზოიძის, ლევან კობერიძის, დიმიტრი ცქიტიშვილის, ირინე ფრუიძის, სოფიო ქაცარავას მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე", "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07-3/77; 22.06.2017) თანახმად, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონი ცხადდებოდა ძალადაკარგულად.

საქართველოს პარლამენტის წევრების, სასამართლო ხელისუფლების, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლების, კანონპროექტის ინიციატორებსა და ავტორებს შორის შეჯერებული პოზიციის მიხედვით, გადაწყდა არ მოხდეს ზემოაღნიშნული კანონის ძალადაკარგულად გამოცხადება, ვინაიდან კანონპროექტის ინიციატორთა მიერ, კანონში შემოთავაზებული იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვით მოსამართლეს თავად ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება, გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, მსჯავრდებულს ჩადენილი ქმედების ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, დამატებით ჩამოართვას უფლებები იმ ვადით, როგორც თავად მიიჩნევს თანაზომიერად.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტების "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" ინიცირება საკანონმდებლო პაკეტში განპირობებული იყო „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების საჭიროებით. შესაბამისად, საკანონმდებლო პაკეტიდან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი კანონის პროექტების:

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, “იარაღის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გამოთხოვა არსებული წესით.

აკაკი ზოიძე

ლევან კობერიძე

დიმიტრი ცქიტიშვილი

ირინე ფრუიძე

სოფიო ქაცარავა